

შპს დიბა თრეიდინგ კომპანი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი სახრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-18

შპს დიბა თრედიინგი კომპანი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2022 წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები	4	2,091,601	3,026,029
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,479,048)	(2,063,303)
საერთო მოგება		612,553	962,726
დასაქმებულთა ანაზღაურება		(71,483)	(74,643)
ცვეთა და ამორტიზაცია		(29,621)	(35,934)
საპროცენტო ხარჯი		(11,380)	(8,826)
იჯარის ხარჯი		(79,230)	(74,192)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(68,869)	(77,282)
სულ საოპერაციო ხარჯები		(260,583)	(270,877)
საოპერაციო მოგება		351,970	691,849
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(656)	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		(48,982)	(42,211)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,429)	(8,529)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		300,903	641,109
მოგების გადასახადი		(82,291)	(59,443)
მოგება/(ზარალი)		218,612	581,666
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		218,612	581,666

ნასერ ნურიზადე დიბავარი
დირექტორი

	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები	4	2,091,601	3,026,029
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,479,048)	(2,063,303)
საერთო მოგება		612,553	962,726
დასაქმებულთა ანაზღაურება		(71,483)	(74,643)
ცვეთა და ამორტიზაცია		(29,621)	(35,934)
საპროცენტო ხარჯი		(11,380)	(8,826)
იჯარის ხარჯი		(79,230)	(74,192)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(68,869)	(77,282)
სულ საოპერაციო ხარჯები		(260,583)	(270,877)
საოპერაციო მოგება		351,970	691,849
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(656)	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალების		(48,982)	(42,211)
რეალიზაციიდან			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(1,429)	(8,529)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		300,903	641,109
მოგების გადასახადი		(82,291)	(59,443)
მოგება/(ზარალი)		218,612	581,666
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		218,612	581,666

ნასერ ნურიზადე დიბავარი
დირექტორი



შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	329,671	197,918
სავაჭრო მოთხოვნები	7	-	2,551
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		217,750	438,029
მარაგები		414,413	462,171
სხვა არამატერიალური აქტივები	8	536	536
ძირითადი საშუალებები	8	372,388	396,929
სულ აქტივები		1,334,758	1,498,134
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		6,781	416
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	28,244	120,659
დარიცხული პროცენტები	10	170,000	-
		378	-
სულ ვალდებულებები		205,403	121,075
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი		-	-
შპს-ს კაპიტალი		199	199
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,129,156	1,376,860
სულ საკუთარი კაპიტალი		1,129,355	1,377,059
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,334,758	1,498,134

ნასერ ნურიზადე დიბავარი

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	329,671	197,918
სავაჭრო მოთხოვნები	7	-	2,551
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი მარაგები		217,750	438,029
სხვა არამატერიალური აქტივები	8	414,413	462,171
სხვა არამატერიალური აქტივები	8	536	536
ძირითადი საშუალებები	8	372,388	396,929
სულ აქტივები		1,334,758	1,498,134
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	6,781	416
დარიცხული პროცენტები	10	28,244	120,659
სულ ვალდებულებები		205,403	121,075
საკუთარი კაპიტალი			
შპს-ს კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		199	199
სულ საკუთარი კაპიტალი		1,129,156	1,376,860
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,129,355	1,377,059
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,334,758	1,498,134

ნასერ ნურიზადე დიბავარი
დირექტორი



შპს დიბა თრედიინგი კომპანი

კაპიტალის მოძრაობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	260,199	1,132,036	1,392,235
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(260,000)		(260,000)
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		581,666	581,666
განაწილებული დივიდენდი		(336,842)	(336,842)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	199	1,376,860	1,377,059
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		218,612	218,612
განაწილებული დივიდენდი		(466,316)	(466,316)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	199	1,129,156	1,129,355

ნასერ ნურიზადე დიბავარი
დირექტორი

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	260,199	1,132,036	1,392,235
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(260,000)		(260,000)
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		581,666	581,666
განაწილებული დივიდენდი		(336,842)	(336,842)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	199	1,376,860	1,377,059
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		218,612	218,612
განაწილებული დივიდენდი		(466,316)	(466,316)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	199	1,129,156	1,129,355

ნასერ ნურიზადე დიბავარი
დირექტორი



შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

ფულადი სახსრების მოძრაობა ანგარიშგება 2022 წლისთვის

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	461,494	931,431
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(55,107)	69,772
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(273,000)	(803,469)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	133,387	197,734
სავალუტო კურსის ეფექტი	(1,634)	(4,363)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	197,918	4,547
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	329,671	197,918

ნასერ ნურიზადე დიბავარი
დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობა ანგარიშგება 2022 წლისთვის

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	461,494	931,431
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(55,107)	69,772
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(273,000)	(803,469)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	133,387	197,734
სავალუტო კურსის ეფექტი	(1,634)	(4,363)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	197,918	4,547
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	329,671	197,918

ნასერ ნურიზადე დიბავარი
დირექტორი



შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი (საიდენტიფიკაციო კოდი 206331094), შემდგომში კომპანია დაარსდა 2008 წლის 16 მაისს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია, ნასერ ნურიზადე დიბავარი.

კომპანია ეწევა საბითუმო და საცალო ვაჭრობას საყოფაცხოვრებო ჭურჭლით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ვარკეთილი დასახლება, III მასივი, VIII კვ., კორპ. #1, სართული 1, კომერციული ფართი #27

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს რუსეთ/უკრაინის ომის გავლენის ანალიზი კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, არ არის დაკავშირებული არსებით განუსაზღვრელობასთან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტით გამოწვეული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის სამუშაო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებული, უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოური ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.702 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი, ერთი ევრო 3.504;) არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარგენილი არიან ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება. საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას. შემოსავლები განისაზღვრება მიღებული კომპენსაციების ან მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები და სავაჭრო ფასდაკლებები.

შპს დიბა ტრედიინგი კომპანია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ღირებულება გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები

მომსახურების ვადები

სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
არამატერიალური აქტივები	7-8 წელი

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის მარაგებს შეადგენს სამზარეულოს ჭურჭელი, გასაყიდად გამიზნული მსუბუქი ავტომობილები და საწვავი.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები,

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების

შპს დიბა ტრედიინგი კომპანია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

4 ამონაგები

კომპანია საქმიანობს ვაჭრობის სფეროში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება საყოფაცხოვრებო საქონლის და მსუბუქი ავტომობილების რელიზაციის საფუძველზე. 2022 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 2,091,601 ლარი.

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2022	2021
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	25,873	25,538
ბანკის მომსახურების საკომისიო	4,550	3,424
კომუნიკაციის ხარჯები	1,501	1,347
საგადასახდო ხარჯი	1,693	2,730
საკანცელარიო ხარჯი	84	307
დაზღვევის ხარჯი	2,004	3,588
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	9,153	9,153
სხვადასხვა	2,105	3,113
სამეურნეო ხარჯი	502	540
მიმდინარე რემონტი	12,415	21,217
მაღაზიის ხარჯი	8,939	6,325
გადახდილი საურავები და ჯარიმები	50	-
სულ ჯამი	68,869	77,282

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ფულადი სახსრები ლარში	320948	162906
ფულადი სახსრები დოლარში	8723	35012
სულ ფულადი სახსრები	329,671	197,918

7. სავაჭრო მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-120 დღეა, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი.

ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს ინდივიდუალურად თითოეული სავაჭრო მოთხოვნის წარსული გამოცდილებისა და სამომავლო მოლოდინების მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებელი განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2022 წლის 31 დეკემბრისთვის 12,845 ლარი სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ალბათობა მცირეა. ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების რეზერთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ:

7.სავაჭრო მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი		
სავაჭრო მოთხოვნები	12,845	49,376
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(12,845)	(46,825)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	-	2,551

7.სავაჭრო მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი		
საექვო მოთხოვნები რეზერვი 01 იანვრის მდგომარეობით	46,825	59,203
საექვო მოთხოვნები ზრდა		
საექვო რეზერვის გამოყენება	(33,980)	(12,378)
საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,845	46,825

შპს დიბა თრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ლარი

	მიწის ნაკვეთი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	122,849	26,098	2,041	150,988
მიღებულია საანგარიშო პერიოდში (2021)	308,567	6,975	49,357	7,951		372,850
დარიცხული ცვეთა		(639)	(40,173)	(18,182)	(1,505)	(60,499)
გასული (2021)			(65,874)			(65,874)
ნარჩენი ღირებულება (2021)	308,567	6,336	66,159	15,867	536	397,465
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	308,567	6,975	106,332	34,049	2,041	457,964
მიღებულია საანგარიშო პერიოდში (2022)	7,592		44,965	2,161		54,718
დარიცხული ცვეთა		(1,337)	(49,210)	(23,158)	(1,505)	(75,210)
გასული (2022)			(62,633)	(1,915)		(64,548)
ნარჩენი ღირებულება (2022)	316,159	5,638	39,454	11,137	536	372,924
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	316,159	6,975	88,664	34,295	2,041	448,134

2022 წლის მდგომარეობით 51, 490 ლარის პირვანდელი ღირებულების ძირითადი საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულებაა 0 ლარი

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი				
საქართველოს ბანკი # 07817430	GEL	13.5%	170,000	
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			170,000	-

10. დარიცხული პროცენტები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი				
საქართველოს ბანკი # 07817430	GEL	13.5%	378	
სულ დარიცხული პროცენტები			378	-

11. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. 2022 წლის 31 მდგომარეობით კომპანიას არ ერცხება ნაშთად ავანსად მიღებული თანხა.

12. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „კომპანია“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „კომპანიაზე“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „კომპანიის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

„კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „კომპანიაზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის.

შპს დიბა თრედიინგი კომპანია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „კომპანიას“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „კომპანიას“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის გავლენა	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	217,750	440,580
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	329,671	197,918
	547,421	638,498

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „კომპანიის“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „კომპანიას“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

შპს დიბა ტრედიინგი კომპანი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,781	416
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	170,000	-
დარიცხული ვალდებულებები	378	-
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	177,159	416

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს მმართველობითი ხელმძღვანელობა.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ლარი	2022	2021
ხელფასი და ბონუსები	20,400	20,400

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 26 სექტემბერს.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება 31-12-22	საბალანსო ღირებულება 31-12-21
ლარი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,781	416
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	170,000	-
დარიცხული ვალდებულებები	378	-
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	177,159	416

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „კომპანია“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „კომპანიის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს მმართველობითი ხელმძღვანელობა.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ლარი	2022	2021
ხელფასი და ბონუსები	20,400	20,400

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 26 სექტემბერს.

